

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

**ნათელა ბასილაშვილი**

**სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური  
შეხედულებები და თანამედროვეობა**

სპეციალობა-პოლიტიკური მეცნიერებები

პოლიტიკური მეცნიერების აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**რ ე ზ ი უ მ ე**

თბილისი 2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

**ნათელა ბასილაშვილი**

**სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური  
შეხედულებები და თანამედროვეობა**

სპეციალობა-პოლიტიკური მეცნიერებები

პოლიტიკური მეცნიერების აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**რ ე ზ ი უ მ ე**

თბილისი 2011

ნაშრომი შესრულებულია გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტში

მეცნიერ-ხელმძღვანელები:

ომარ გოგიაშვილი (საქართველო, თბილისი)

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

მიხეილ გოგატიშვილი (საქართველო, თბილისი)

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ლალი ზაქარაძე (საქართველო, ბათუმი) /თბილისი/

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დოდო ლაბუნიძე (საქართველო, თბილისი)

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის „30“ „ივლის“  
„15“ საათზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტში, პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში  
საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტისა და სადისერტაციო  
საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0160, თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0160, თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6.

დისერტაციის რეზიუმე დაიგზავნა 2011 წლის „14“ „ივნის“

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

პრეზიდიუმის და სოციალურ მეცნიერებათა

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ფილოსოფიის დოქტორი ნ. ბერიძე /ნინო ფიფია/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. პოლიტიკური თეორიები, ისე როგორც ყველაფერი ამქვეყნად, განუწყვეტელი იცვლებიან. თვითუღი ისტორიული ეპოქა თავის კვალს და თავის დამახასიათებელ ელფერს აძლევს მათ. ეს ნათლად არის ნაჩვენები ჰენრი კისინჯერის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში “დიპლომატია”, სადაც რიშელიეს ეპოქიდან და საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან მოყოლებული ჩვენი დღევანდელი ეპოქის ჩათვლით დახასიათებულია ის თეორიული და იდეური საფუძვლები, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ და დღესაც ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკოსები.

მიუხედავად პოლიტიკური თეორიების ასეთი ხშირი ცვალებადობისა, ერთი რამ უცვლელი რჩება მუდამ: ეს არის მოცემული ქვეყნის ეროვნული ინტერესები და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ღირებულებანი. ასე რომ, ესა თუ ის პიროვნება კი არ განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის პოლიტიკას, არამედ ეროვნული ინტერესები, მათგან გამომდინარე ღირებულებანი და კონკრეტული მიზნები.

მას შემდეგ, რაც საქართველო XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე აქტიურად ჩაერთო მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში, იგი დიდი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროში მოექცა. სამხრეთიდან ირანი და თურქეთი, ჩრდილოეთიდან რუსეთის სულ უფრო მზარდი იმპერია განაგებდნენ მაშინდელი საქართველოს ბედს. ერეკლე II-ის და სოლომონ II-ის ცდები უშუალოდ ევროპასთან დაემყარებინათ ურთიერთობები, მარცხით დამთავრდა. ამიტომ ამ სამი ძალიდან არჩევანი რუსეთზე

უნდა გაკეთებულიყო, რამდენადაც მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გამაჰმადიანებისაგან საქართველოს გადარჩენა და რუსეთის გზით ევროპასთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება.

მაგრამ იმპერია იმპერიაა და რუსეთს საქართველოში მხოლოდ თავისი იმპერიული მიზნები და ინტერესები ამოძრავებდა. პოლიტიკაში რეალიზმი ყოველთვის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო, არის დღესაც და ალბათ, მომავალშიც ასე იქნება. რეალიზმი აიძულებდა ჩვენს მაშინდელ პოლიტიკურ ელიტას ეძებნათ ახალი გზები ერისა და ქვეყნის გადასარჩენად. ეს ძიება არის განმსაზღვრელი ფაქტორი XIX-XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებისათვის.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში თავიდანვე პრიორიტეტული მიმართულება მიიღო ე.წ. “ევროპეიზმი”. ოდნავ გონებაგახსნილი ადამიანისათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება დაკავშირებული იყო ევროპასთან. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გიორგი ბრწყინვალეიდან და სულხან-საბა ორბელიანიდან დაწყებული არა ერთი ცდა იყო ევროპასთან დაკავშირების, მაგრამ იმ დროისათვის ძლიერების ზენიტში მყოფი თურქეთის იმპერია, რომელიც თავად ემუქრებოდა აღმოსავლეთ ევროპას დაპყრობით, გადაულახავი წინაღობა გახდა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე საერთაშორისო ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რუსეთ-თურქეთის ომებმა აჩვენა, რომ შავიზღვისპირა რეგიონში გამოჩნდა ახალი იმპერიული ძალა, რომელსაც ძალუძდა ბოლო მოეღო თურქეთისა და ირანის ბატონობისათვის

კავკასიაში, შავი და კასპიის ზღვების მთელ რეგიონში.

• მაშინ ევროპა ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო აქტიურად ჩართულიყო ამ რეგიონალურ კონფლიქტებში. მაგრამ სამაგიეროდ ამ პერიოდში უკვე აშკარად გამოიკვეთა ევროპის დომინირებული როლი კაცობრიობის როგორც სულიერი, ისე მატერიალური განვითარების სფეროში. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ და ინგლისის ე.წ. “სამრეწველო რევოლუციამ” დიდი ბიძგი მისცა ევროპისა და მასთან ერთად, მსოფლიოს განვითარებას, ხოლო გერმანული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებამ თავისი განუმეორებელი კვალი დააჩნია ევროპულ აზროვნებას. სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური აზროვნება, მისი “ლოგიკა” და სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა ამ გავლენის უშუალო შედეგია. იგი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ მიზნად მიიჩნევდა, რომ “ევროპამან ჰცნას ივერია წერილთა სარწმუნოთა”. ეს მიზანი და ამოცანა ამოძრავებდა ქართულ ინტელექტუალურ ძალებს უკანასკნელი ორი საუკუნე.

ბევრი ახალი მასალა აღმოჩნდა, რომელიც ნათელს ჰფენს ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს. განსაკუთრებით მინდა ავლნიშნო ილია ჭავჭავაძის, ვარლამ ჩერქეზიშვილის და ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური და პოლიტიკური მემკვიდრეობა. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ ილია ჭავჭავაძემ ევროპული პოლიტიკური იდეოლოგიების შესწავლა, მათი ანალიზი და ქართულ ნიადაგზე დანერგვა დასახა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად. ხოლო ნიკო ნიკოლაძემ და ვარლამ

ჩერქეზიშიველმა თვით ევროპულ დონეზეც კი საკმაოდ მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს პოლიტიკური იდეოლოგიების განვითარების თვალსაზრისით. პირველმა დაამუშავა განიარაღების პრობლემა სადოქტორო დისერტაციის სახით, ხოლო მეორემ სხვა ევროპელ იდეოლოგებთან ერთად მოგვცა მარქსიზმის სხვადასხვა ტოტალისტური იდეების, პირველ რიგში კი, “პროლეტარიატის დიქტატურის” ღრმა მეცნიერული კრიტიკა და ამ საფუძველზე ე.წ. “სინდიკალური თვითმართველობისა და არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის” იდეები, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სკანდინავიის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

### საკვლევი თემის მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა

XIX საუკუნის დასაწყისი თავისებური წყაღვამყოფია არა მარტო ევროპის, არამედ საქართველოს ხანგრძლივ ისტორიულ განვითარებაში. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა „ქვეყანამ შეიცვალა თავისი სავალი გზები” და ამდენი ომებისა და სისხლისღვრების შემდეგ, „მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა”. მაგრამ ეს მშვიდობა ძალიან ძვირად დაუჯდა ქვეყანას: საქართველომ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

ასეთ ვითარებას ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა მოწინავე ქართველი საზოგადოება და მის

წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით იბრძოდა. როგორც ცნობილია პირველი შეიარაღებული აჯანყებანი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველსავე წლებში მოხდა. კერძოდ, 1802, 1804, 1812-13, 1819-20 წლებში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, როდესაც რუსეთმა მიზნად დაისახა იმერეთის სამეფოს დაპყრობა. ეს სტიქიური და არაორგანიზებული აჯანყებანი რუსეთმა სისხლში ჩაახშო და საქართველო საბოლოოდ მოაქცია თავისი დამპყრობელი კოლონიური უღლის ქვეშ.

ქვეყანას რომ საბოლოოდ არ დაეკარგა თავისი ეროვნული ცნობიერება და მომავალში დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი, ამ აჯანყებათა დამარცხების შემდეგ საჭირო იყო ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, ჩვენი უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი აგიტაცია-პროპაგანდა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს მაშინდელმა ჩვენმა ინტელექტუალურმა ძალებმა. მათ შორის ყველაზე გამორჩეული პიროვნება სოლომონ დოდაშვილი იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ქართული გაზეთისა და ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა, ქართული სტამბის აღდგენა და ქართული წიგნების ბეჭდვის განახლება, ქართული სახელმძღვანელოების შექმნა, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული აღზრდა და ყველა იმ საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება, რომლის მიზანი იყო „ჩვენის დაკარგულის ვინაობის აღდგენა”.

სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტიურად ახალი დაწყებული საქმეა. როგორც ცნობილია მისი სახელის ხსენებას გარკვეული „ტაბუ” ჰქონდა

დადებული, რამდენადაც იგი რუსეთის წინააღმდეგ მიმართული 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო. ამოტომ მისი სახელგანთქმული „ლოგიკის“ თარგმნა და გამოცემა საქართველოში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ-1949 წელს გახდა შესაძლებელი. ასევე გვიან გამოიცა მისი თხზულებების კრებული.

სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აწ განსვენებულ სოლომონ ხუციშვილს, რომელიც რამოდენიმეჯერ იყო ჩასული სოლომონ დოდაშვილის გადასახლების ადგილზე ვიატკაში და მდიდარი საარქივო მასალებით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ თამარ კუკავას, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური შეხედულებების კვლევა-ძიებისა და გამოცემის საქმეს.

სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევა-ძიებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს სხვა ქართველმა მეცნიერებმაც: ზაქარია ჭიჭინაძემ, ალექსანდრე ხახანაშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, გურამ თევზაძემ, პაატა გუგუშვილმა, გიორგი გოზალიშვილმა, ამალია ამირხანოვამ, ანდრია ბოჭორიშვილმა, ოთარ გაბიძაშვილმა, აკაკი გაწერელიამ, მიხეილ გოცაძემ, ლევან ებანოიძემ, მიხეილ ზანდუკელმა, ალექსანდრე კალანდაძემ, ნიკოლოზ კანდელაკმა, მიხეილ მახარაძემ, გიორგი რუსიამ, რევაზ გრძელიძემ, ივანე მჭედლიშვილმა, ლოვარდ ტუხაშვილმა, ელბერდ ბატიაშვილმა. აღნიშნულმა ავტორებმა დიდი ამაგი დასდეს ს.

დოდაშვილის ლიტერატურული და ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს.

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გარდამავალ პერიოდში ჩვენი ძველი ისტორიული მემკვიდრეობის პოლიტიკურ შეხედულებათა კვლევას წმინდა მეცნიერულ და შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად, დიდი პრაქტიკული ღირებულებაც აქვს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სოლომონ დოდაშვილის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების ორიგინალური კონცეფციის შექმნა, მის მიერ გამოთქმული რესპუბლიკური იდეები, მისი ეროვნული საფუძვლები და რიგი სხვა პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ წინამდებარე ნაშრომით ვაჩვენოთ ის ერთიანი მემკვიდრეობითი ხაზი, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას ახასიათებდა ისტორიულად. სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის მთავარი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან მდიდარ ეროვნულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შესძლო შეემუშავებინა ქვეყნის მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი ახალი პრინციპები. ეს პირველ რიგში ეხება რესპუბლიკანიზმის იდეებს მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში.

სტატიათა ციკლში “ცხოვრება და კანონი”, ილია ერთმანეთს უპირისპირებს სახელმწიფოს, საზოგადოების, ადამიანის არსებობა-განვითარების და თანაცხოვრების 2 პრინციპს: ცენტრალიზმს და დეცენტრალიზმს, ანუ უნიტარიზმს და ფედერა-

ლიზმს. ვრცელი ანალიზის შემდეგ ასკენის, რომ ორივე საჭიროა, ისევე როგორც ადამიანის უფლებანი და მოვალეობანი, მაგრამ პრიორიტეტი მაინც მართველობის დეცენტრალიზმსა და ფედერალიზმს უნდა მიენიჭოს. აქ ილიას ერთი საოცარი, მაგრამ უაღრესად დამარწმუნებელი არგუმენტიც მოჰყავს. ფედერალიზმი და ადგილობრივი თვითმართველობა იმიტომაა კარგი და აუცილებელი, რომ იგი თვითონ ცენტრალურ ხელისუფლებას “უმსუბუქებს მართველობის ტვირთს” - მთავარია კარგად გავასაშუალოთ უნიტარიზმი და ფედერალიზმი.

ილია ჭავჭავაძე რა თქმა უნდა იცნობდა ამერიკის მართველობის სისტემას, იგი უშუალო მოწმე იყო 1861-1865 წლების ამერიკის სამოქალაქო ომის. მის თვალწინ მიმდინარეობდა ამ მართლაც უნიკალური სახელმწიფო მართველობის ფორმირება. რად ღირს თუნდაც მისი ერთი პატარა წერილის გახსენება 1889 წლის 25 თებერვლის “ივერიის” ცნობილ რუბრიკაში “საპოლიტიკო მიმოხილვა” სათაურით “ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი”, სადაც იგი XX საუკუნეში ამერიკას “მსოფლიოს მეთაურობას” უწინასწარმეტყველებს. ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს ილიას ანალიტიკური აზროვნების დიდ უნარს, პროგნოზირების სიზუსტეს და ძალას. სწორედ ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები ახალი ქართული პოლიტიკური აზროვნების ცნობილი სახეები ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი მოითხოვდნენ “ამერიკული მმართველობის” დანერგვას მომავალ საქართველოში. ისე როგორც ჰამილტონმა, მედისონმა, ჯეფერსონმა, ლინკოლმა და სხვებმა შექმნეს ძლიერი ამერიკა, ასევე ძლიერი ქართული სახელმწიფო ილიას და მისი მიმდევრების მემკვიდრეობაზე უნდა დაფუძნდეს. შესანიშნავად

წერს ამის შესახებ პროფესორი მიხეილ გოგატიშვილი კრებულში “ფედერალისტური წერილები”. “ამით შეიძლება საქართველოში არსებული პოლიტიკურ პრობლემათა რედუცირება მოუახდინოთ და განესაზღვროთ არჩევანი სწორსა და არასწორს შორის”. საერთაშორისო გამოცდილება და ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა დაგვეხმარება ასეთი სწორი არჩევანის გასაკეთებლად. მთავარია რომ ეს ყველაფერი მართო ქაღალდზე არ დარჩეს და იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარდეს. სხვანაირად, როგორც ილია იტყოდა, “ცოდნაც და მეცნიერებაც უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია”; ამიტომ ჩვენ შევეცადეთ სადისერტაციო ნაშრომში გამოგვეკვეთა XIX-XX საუკუნეების ის პოზიტიური პოლიტიკური იდეები, რომლებიც პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებენ დღეს.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის “საერთო ნიადაგის” თეორია და მისგან გამომდინარე შედარებითი ისტორიზმის მეთოდი. დიდი ილია ყოველთვის თავს მიიჩნევდა “ოცდაათიანელთა მემკვიდრედ” და განსაკუთრებით აღნიშნავდა მათ როლსა და მნიშვნელობას ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში (“წერილები ქართულ ლიტერატურაზე”). თუ ჩვენ არ ვიცით საიდან მოვდივართ, ვერც იმას გავიგებთ, საით მივდივართ. შედარებითი ისტორიზმის მეთოდი და “საერთო ნიადაგის” თეორია დაგვეხმარება სწორი დასკვნები გავაკეთოთ წარსულის მემკვიდრეობის შესახებ, განესაზღვროთ სწორი ორიენტირები საქართველოს

მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

**კვლევის საგანია XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის აქტუალური პრობლემები.** ჩვენი კვლევის არეალში მოექცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწყვეტი ისტორიული პროცესის კვლევა დაწყებული 1801 წლიდან, როდესაც რუსეთმა ვერაგულად დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა. ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში.

**კვლევის ობიექტი:** გამომდინარეობს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემიდან, კერძოდ კი, XIX-XX საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარების ისტორიული და თეორიული ასპექტებიდან. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის აქტუალური პრობლემები როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის შეხების წერტილები და პარალელები, რაც სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს და XIX-XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას გააჩნია თანამედროვე პოლიტიკურ იდეოლოგიებთან. შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილმა დავით გურამიშვილთან და სულხან საბა ორბელიანთან ერთად დაამთავრა “ძნელბედობის ხანის” ქართული აზროვნების სტაგნაცია და საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ აზროვნებას, მის მჭიდრო და ორგანულ კავშირს ევროპულ ცნობიერებასა და ღირებულებებთან. შემ-

დგომში ეს პროცესი გააგრძელეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა მიმდევრებმა, რომელთაგან განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც სოლომონ დოდაშვილის მსგავსად ნაკლებად არის ცნობილი და შესწავლილი. ეს მაშინ, როდესაც ვ. ჩერქეზიშვილმა ქართველ მოაზროვნეთაგან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ქართულ სინამდვილეში ევროპული პოლიტიკური კულტურისა და იდეოლოგიის დანერგვაში. ამის შესახებ ჩვენ დისერტაციის დასკვნით თავებში შევეცდებით უფრო დეტალურად შევჩერდეთ. მომავალი არ არსებობს აწმყოსა და წარსულის გარეშე და ჩვენ სწორედ ასეთი გააზრებით გვინდა გავაანალიზოთ სოლომონ დოდაშვილის, 1830-1832 წლების შეთქმულების და საერთოდ, XIX-XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მემკვიდრეობა.

#### **სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე.**

ნაშრომის უმთავრესი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეული მეცნიერული სისტემის სახე მიეცა სოლომონ დოდაშვილის მდიდარ პოლიტიკურ მემკვიდრეობას და 1830-1832 წლების შეთქმულების საპროგრამო დოკუმენტს “აკტი გონიური”.

იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებასთან, კერძოდ კი, ილია ჭავჭავაძის და სხვა ქართველი სამოციანელების ეროვნულ პროგრამასთან, რომელიც “საერთო ნიადაგის” სახელწოდებით არის ცნობილი. ეს თეორია შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში და ჩვენ შევეცადეთ მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრინციპების მოძიება და წარმოჩენა. ასევე

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია აღნიშნული თეორიის პრაქტიკული ღირებულება საქართველოს თანამედროვე ვითარებასთან მიმართებაში.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა აგრეთვე, სოლომონ დოდაშვილის 1830-1832 წლების შეთქმულების აქტიური კავშირის ჩვენება როგორც კავკასიის სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან (შამილის აჯანყება), ასევე, მაშინდელ ევროპასთან. ამიტომ უწოდებდა ილია ჭავჭავაძე სოლომონ დოდაშვილს “ევროპეიზმის ფუძემდებელს საქართველოში”. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული პოლონელი პატრიოტების მონაწილეობაზე XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ჩვენ შეიძლება ასე დავაფიქსიროთ **სადისერტაციო ნაშრომის შედეგები:**

1. ნაშრომის გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ-საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში გაჩნდა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობა დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნის მიზნით. ეს ისტორიული პროცესი გრძელდებოდა შემდგომშიც, რის შედეგადაც წარმოიშვა “საერთო ნიადაგის” თეორია, როგორც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიური დასაბუთება. მას საფუძველი ჩაუყარა სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურმა და ფილოსოფიურმა მემკვიდრეობამ. (“ლოგიკა”).

2. ერთ - ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ამ პერიოდის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

აზროვნებაში იყო ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმისა და მისი ორგანიზაციული პრინციპების მოძიება. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს ორი არსებითი მომენტი:

ა) მართველობის რესპუბლიკური ფორმა.

ბ) ძველი მონარქიული წყობილების აღდგენა.

ორივე ფორმა ფაქტიურად იდენტურია. მათ შორის განსხვავება მხოლოდ დეფინიციუმშია. სოლომონ დოდაშვილის, ოქროპირ ბატონიშვილის, ფილადელფოს კიკნაძის და სხვა შეთქმულთა მოთხოვნა ე.წ. “ერთგვარი რესპუბლიკის სახელმწიფო წესწყობილების დამყარების” შესახებ, ეს ფაქტიურად ნიშნავდა ინგლისის მსგავსი კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წყობილების და მართვა-გამგეობის დამკვიდრებას მაშინდელ საქართველოში. ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა და სხვადასხვა დოკუმენტურ წყაროებზე გვეჩვენებინა ამ თითქოსდა ერთი შეხედვით პრინციპულად განსხვავებული პოლიტიკური მოთხოვნების იდენტურობა.

3. ცნობილია, რომ მაშინდელ ეპოქაში, არ არსებობდა ტერმინი “კონსტიტუციური მონარქია”, ისევე როგორც ცნება “პოლიტოლოგია”. ამიტომ აქვს ადგილი ჩვენს ლიტერატურაში ცნებათა გარკვეულ აღრევას. სოლომონ დოდაშვილს და მის თანამოაზრეებს ხშირად წარმოაჩენენ როგორც “რესპუბლიკელებს”. სინამდვილეში მათი პოლიტიკური მოთხოვნა საქართველოში “ერთგვარი რესპუბლიკის” დამყარების შესახებ წარმოადგენს რუსეთის კოლონიური უღლის გადაგდების შემდეგ საქართველოში შეზღუდული მონარქიული წყობილების სახელმწიფო მართველობის შემოღებას. ეს კი კონსტიტუციური მონარქიაა.

## ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა არსებითია. სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებების შესწავლა აუცილებელია თანამედროვე ვითარებაში. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ წინა თაობების მემკვიდრეობის გარეშე აწმყოს და მომავალს მკვიდრ ნიადაგზე ვერ დავაყენებთ. იგი თავს “ოცდაათიანელთა მემკვიდრედ” და მათი საქმეების გამგრძელებლად მიიჩნევდა. “ევროპული მოძრაობის მედროშე და ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში”-ასე განსაზღვრა მან სოლომონ დოდაშვილის ადგილი და როლი საქართველოს ისტორიაში. ამ დიდი იდეის პირველი გზამკვლევი სწორედ სოლომონ დოდაშვილი იყო. ამიტომ აუცილებელია “მემკვიდრეობითი ხაზის” გაგრძელება. მემკვიდრეობითობა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უნივერსალური კანონია. ამიტომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში მისი გათვალისწინება აუცილებელია.

მართალია ეპოქები იცვლებიან, მაგრამ პრობლემები, მათი გადაჭრისათვის მიმართული გარკვეული იდეები და თეორიები მხოლოდ ფორმას იცვლიან. XIX-XX საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარება მისი ნათელი დადასტურებაა. ამიტომ გასული საუკუნეების ბევრი მოღვაწე და მოაზროვნე აუცილებლად არის ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი. მათი მემკვიდრეობა ეხმიანება როგორც თავიანთი ეპოქების მოწინავე პოლიტიკურ თეორიებსა და იდეოლოგიებს, ისე დღევანდელი მსოფლიოს აქტუალურ პრობლემებს.

ნაშრომის აპრობაცია-დისერტაციის განხილვა და წინასწარი დაცვა-აპრობაცია-შედგა 2010 წლის 3 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა ისეა შედგენილი, რომ ნაშრომში ეტაპობრივადაა წარმოდგენილი სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ შეხედულებათა ისტორიული წინამძღვრები და ამ შეხედულებათა ევოლუცია XIX საუკუნის 20-30-იან წლებში. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 209 გვერდს და შედგება შესავლის, 7 თავისა და დასკვნისაგან. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.

პირველ თავში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის დასაწყისში“. გადმოცემულია ის ისტორიული ფონი, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა და ვითარებოდა მაშინელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და მოძრაობა. აქ ჩვენ ვხელმძღვანელობთ ილია ჭავჭავაძის მეთოდოლოგიური მითითებით, რომ ნებისმიერი მეცნიერი, თუ უნდა მან მოცემული ისტორიული მოვლენის შესახებ სწორი კვლევა-ძიება წარმართოს, ჯერ „იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს დროების შვილნიცა“. სოლომონ დოდაშვილიც თავისი ეპოქის შვილი იყო, მისი ეპოქის „ქერქში იჯდა“ და ამიტომ მისი პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებაც ჩვენთვის გაუგებარი იქნება, თუ ამ ეპოქის ძირითად მიმართულებებს და თავისებურებებს არ გავითვალისწინებთ.

ჩვენთვის მეთოდური მნიშვნელობა აქვს 1919 წელს დამოუკიდებელ საქართველოში ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ ნაშრომს „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს

შორის XVIII საუკუნეში”, სადაც ივანე ჯავახიშვილი საოცარი წინასწარმეტყველებით განსაზღვრავს რუსეთის ფატალურ როლს საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ თავისი კვალი დააჩნია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. რუსეთი ცდილობდა თავისი ახლად შექმნილი კოლონია თავის წესსა და რიგზე გადაეყვანა. ჩვეულებებზე დაფუძნებული ძველი სამართალი შეეცვალა ხალხისათვის გაუგებარი და მიუღებელი რუსული სამართალით. მალე გაუქმებული იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საეროსთან ერთად საეკლესიო ცხოვრებაც რუსულ ყაიდაზე იქნა გარდაქმნილი. სახელმწიფო და საბატონო გადასახადების სისტემა მეტროპოლიის მსგავსად იქნა მოწყობილი. მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა, ისე როგორც მთელი სამეურნეო განვითარება, რუსული სამოხელეო აპარატის ხელში აღმოჩნდა. რუსულ ენასა და წეს-ჩვეულებებს შეუჩვეველი ხალხისათვის ეს ნამდვილ წამებას ნიშნავდა. მოხელეთა განუკითხაობა, უცოდინრობა და მექრთამეობა კიდევ უფრო ზრდიდა სოციალურ დაძაბულობასა და უკმაყოფილებას. ხშირად იყო შემთხვევები როცა რუსეთის მოხელეთა ასეთი თვითნებობისა და განუკითხაობის შედეგად თვით ყველაზე წვრილმანი საკითხების გადაწყვეტაც კი, წლობით ჭიანურდებოდა. ხალხი, რომელიც მიჩვეული იყო საკითხის სწრაფად გადაწყვეტას ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსამართლეთა მხრიდან, ბიუროკრატიული თვითნებობისა და დიქტატურის ტყვეობაში მოექცა.

ასეთი ვითარება საყოველთაო უკმაყოფილებისა და ანტირუსული განწყობილების კატალიზატორის

როლს თამაშობდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა რიგ რეგიონებში მოთმინებიდან გამოსული ხალხი ნამდვილი „ლინჩის წესით“ ასამართლებდნენ მათთვის საძულველ რუს მოხელეებს. მისი მაგალითია აჯანყებანი ხევსურეთსა და მთიულეთში, აგრეთვე 1812 წლის აჯანყება კახეთში, როდესაც გლეხებმა ფიწლებითა და ბარებით ამოხოცეს სიღნაღის გარნიზონი.

სოციალურთან ერთად საქართველო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდა. რუსეთის ჯარს, რომლის რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, შენახვა და გამოკვება სჭირდებოდა. სამხედრო ღალა და ბეგარა განსაკუთრებით აუტანელი ხდებოდა ომიანობის დროს, რაც ასე ხშირი იყო განსახილველ პერიოდში. საქართველოს დაპყრობისა და შემომტკიცების შემდეგ, რუსეთმა დაიწყო აქტიური სამხედრო ოპერაციები აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის სახანოების დასაპყრობად, რის გამოც შეეჯახა სპარსეთისა და თურქეთის ინტერესებს. 1806-12 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1805-13 წლების რუსეთ-ირანის, შემდგომში 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1826-28 წლების რუსეთ-ირანის ომები კავკასიაში გაბატონებისათვის ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მოიშალა სამეურნეო ცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციები კავკასიის ხალხებთან და ახლო აღმოსავლეთთან, ასევე სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა და შესატყვისად, ძველი სავაჭრო გზები და კომუნიკაციები.

ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ძველი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სრული მოშლა და მის შედეგად წარმოშობილი

სრული ანარქია. ეს კრიზისი თითქმის XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე გრძელდებოდა, ხალხს და ქვეყანას რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ განაწყობდა. საჭირო იყო მხოლოდ ამ უკმაყოფილობის ორგანიზება და მისთვის მიზანმიმართული მოქმედების მიცემა. ეს ამოცანა ბუნებრივია, ერის ინტელექტუალურ ძალებს უნდა შეესრულებიათ.

II თავი „ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხისათვის და 1832 წლის შეთქმულების ადგილი და როლი ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში“, გადმოცემულია ქართული ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებ შესწავლილი პრობლემა ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის შესახებ. იმ პირობებში, როცა გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებების გამო და აგრეთვე, რუსეთის შიშით 1832 წლის შეთქმულება, მისი ხელმძღვანელები და სულის ჩამდგმელები „რეაქციონერებად“ და ლამის „ქართველი ერის მოღალატეებად“ იყვნენ დასახული, ეროვნულ მოძრაობას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყებდნენ, ხოლო მის იდეოლოგებად მხოლოდ „თურგდალეულებს“ სახავდნენ. ეს ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის არასწორი გააზრება და ასახვაა, რომლის წინააღმდეგ პირველმა ილია ჭავჭავაძემ გაილაშქრა. 1876 წელს გაზეთ „დროების“ ბენეფისზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ხაზგასმით განაცხადა, რომ სამოციანელთა იდეური მემკვიდრეობა 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელთა სოლომონ დოდაშვილისა და გიორგი ერისთავისაგან მოდიოდა. ეს დიდი გაბედულება იყო მაშინდელ პირობებში, როცა თვით 1832 წლის შეთქმულების და განსაკუთრებით, სოლომონ

დოდაშვილის სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო.

უფრო ვრცლად ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხს ილია ჭავჭავაძე შეეხო სტატიათა თავის განთქმულ ციკლში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ჩვენ სწორედ აქ წამოყენებულ იდეას ვეყრდნობით იმის შესახებ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისი ეტაპი დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულების მომზადებასთან, ესე იგი XIX საუკუნის დასაწყისიდან. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ეროვნული მოძრაობა იწყება მაშინ, როცა ერი თავის თვითმყოფადობასა და დამოუკიდებლობას კარგავს. პირველად მართალია ეროვნული მოძრაობა ატარებდა სტიქიურ ხასიათს, მაგრამ მასაც თავისი იდეური მიმართულება, გარკვეული ეროვნული პროგრამა და მიზანდასახულობანი ჰქონდა. ეს მკაფიოდ გამოიკვეთა უშუალოდ შეთქმულების ჩასახვის პერიოდში, კერძოდ, რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილებისა და მათ გარშემო შემოკრებილი პატრიოტულად განწყობილი ქართული ემიგრაციის სალონურ შეკრებებში.

1832 წლის შეთქმულების ისტორიული მნიშვნელობა და მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან საფუძველი ჩაუყარა იმ ეროვნულ იდეოლოგიას, რომლის საფუძველზეც წარიმართა შემდგომში მთელი ეროვნული მოძრაობა. უმეტესობა ამ ეროვნული იდეოლოგიიდან დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას და თავიანთი პრაქტიკული მნიშვნელობით შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საშვილიშვილო საქმეს. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მთავარ პრაქტიკულ ღირებულ-

ებას იმაში ვხედავთ, რომ ანალიზი გაეუკეთოთ და წინა პლანზე წამოვწიოთ ქართული სახელმწიფოებრიობის ისეთი სტრატეგიული საკითხები, როგორც არის, ოქროპირ ბატონიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის „ერთგვარი რესპუბლიკის“ იდეა, ანდა ფილადელფოს კიკნაძისა და ალექსანდრე ორბელიანის მიერ „ეროვნული საბჭოს“ შექმნის იდეა, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა საქართველოს ყველა მხარე, ყველა სოციალური ფენა და პოლიტიკური მიმართულება.

**III თავი „სოლომონ დოდაშვილის რესპუბლიკური იდეები და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“**  
წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად თავს. ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა ის სიახლე, რომლებიც ს. დოდაშვილმა შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში. ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის მისეული პრინციპები, რომელთა გატარებასაც იგი ვარაუდობდა შეთქმულების წარმატებისა და რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების შემთხვევაში. ამ მხრივ მდიდარ მასალებს იძლევა როგორც თვითონ შეთქმულთა საარქივო მასალები, რომელთა გამოვლენას და კლასიფიკაციას დიდი ამაგი დასდო პროფესორმა გიორგი გოზალიშვილმა, ასევე სოლომონ დოდაშვილის წერილები იოანე ხელაშვილისადმი.

ყველა მასალა და მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ სოლომონ დოდაშვილი პირველი ქართველი მოაზროვნეა, რომელმაც ქართული სახელმწიფოს რესპუბლიკური წეს-წყობილების საფუძვლზე დაფუძნების იდეა და მოთხოვნა შეიმუშავა. დღეს ქართველ მეცნიერებს შორის მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, რომ სოლომონ დოდაშვილის ეს

მოთხოვნა წმინდა რესპუბლიკურ წყობილებას ნიშნავდა, თუ „კონსტიტუციური მონარქიის“ ტიპის სახელმწიფოს დაფუძნებას საქართველოში. თ. კუკავა, გ. გოზალიშვილი, გ. აბზიანიძე, შ. ნუცუბიძე და უმრავლესობა ქართველი მეცნიერებისა ისრებიან იმ აზრისკენ, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ს. დოდაშვილის რესპუბლიკანიზმის იდეები სწორედ სახელმწიფოს წმინდა რესპუბლიკურ წეს-წყობას გულისხმობდა და მაშინდელ ეპოქაში უაღრესად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა არა მარტო რუსეთისა და საქართველოს სინამდვილეში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ნაწილი მეცნიერებისა მ.გაფრინდაშვილი, რ.გრძელიძე, ე.ბატიაშვილი ეჭვს გამოთქევენ, რომ სოლომონ დოდაშვილის მიერ წამოყენებული „ერთგვარი რესპუბლიკის“ იდეა სრულებითაც არ ნიშნავს წმინდა რესპუბლიკური წეს-წყობილების დამყარების მოთხოვნას საქართველოში. იგი უფრო კონსტიტუციით მონარქიის ხელისუფლების შეზღუდვას გულისხმობს.

ჩვენ შევეცადეთ დამოუკიდებელი ინტერპრეტაცია მივეცა ს.დოდაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობისათვის და სადისერტაციო ნაშრომის ეს თავი ავაგეთ იმდაგვარად, რომ რაც შეიძლება სრულად გადმოგვეცა და სათანადო მასალებით დაგვესაბუთებინა პრობლემის ნამდვილი არსი. ჩვენი აზრით და ამას სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებათა ამსახველი სათანადო მასალებიც ამტკიცებენ, რომ ამ მოთხოვნით პირველად ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში დაფიქსირებულია სრულიად ახალი პოლიტიკური იდეა, რომელმაც მთელი ისტორიული ეპოქებით გაუსწრო თავის დროს.

ამიტომ როდესაც რაიმეს ვასაბუთებთ ჩვენ ვცდილობთ, რომ მას სათანადო ფილოსოფიური, ზოგად-სოციოლოგიური არგუმენტაციაც მივცეთ, სოლომონ დოდაშვილის განთქმული ნაშრომის „ლოგიკის“ სათანადო ადგილების პოლიტოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ვფიქრობთ, რომ ეს დამატებით სიცხადეს შეიტანს ამ სადაო პრობლემის გადაწყვეტაში და ნათელს მოჰფენს სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრეობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფილოსოფიის დანიშნულების მისეული გაგება და საერთოდ, მისი განმანათლებლური იდეების წინა პლანზე წამოწევა. ბევრი მკვლევარი სამართლიანად ფიქრობს, რომ სოლომონ დოდაშვილი პირველ რიგში განმანათლებელია და ისე როგორც ყველგან, განმანათლებლობა საქართველოშიც ნიშნავდა მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების და საერთოდ საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების თვისებრივად სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას. ჩვენ შევეცადეთ ს.დოდაშვილის დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ წარმოგვედგინა. ამ მიზნით გამოვიყენეთ მეტად მნიშვნელოვანი მოგონებანი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ვახტანგ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობის შესახებ.

იგი ნათლად აჩვენებს, რომ ნ. ბარათაშვილის პოეტური გენიის გაშლა-გაფურჩქვნაში სოლომონ დოდაშვილმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. იმდენად გადამწყვეტი, რომ ვახტანგ ორბელიანს ათქმევინა: „რომ არ ყოფილიყოს სოლომონ დოდაშვილი არ იქნებოდა არც ნიკოლოზ

ბარათაშვილი“. ეს შეიძლება დოდაშვილის გავლენის მეტად გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ მასში ის ჭეშმარიტება უდავოდ არის, რომ სოლომონ დოდაშვილმა მეტი სიღრმე და ფილოსოფიური დატვირთვა მისცა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას, საერთოდ, მთელ მაშინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას.

**IV თავში** „სოლომონ დოდაშვილი, როგორც „ევროპეიზმის“ ფუძემდებელი საქართველოში“, გამოცემულია ს.დოდაშვილის მემკვიდრეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე მის მიერ ევროპული მოწინავე იდეების დანერგვა და პოპულარიზაცია მაშინდელ საქართველოში. ამ თავში ჩვენ შევეცადეთ ეს ნაკლებად შესწავლილი საკითხი სათანადო საარქივო და ისტორიული მასალებით დაგვესაბუთებინა. იგი პირველ რიგში იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ სოლომონ დოდაშვილი წარმოადგენდა პირველ ქართველ „თერგდალეულს“, რომელმაც უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება მიიღო პეტერბურგში და იქ ეზიარა იგი მაშინდელი ევროპული, კერძოდ კი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მდიდარ მემკვიდრეობას. თავისი უადრესად დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით მან შეძლო სრულიად ახალგაზრდას კრიტიკულად გადაემუშავებინა ეს მემკვიდრეობა და ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობისათვის შეეფარდებინა ყოველივე ის მოწინავე, რაც მაშინდელ ევროპულ საზოგადოებრივ აზროვნებაში არსებობდა. უშუალო შედეგი გახდა მისი ორიგინალური ნაშრომი „ლოგიკა“, აგრეთვე „ლოგიკის შესავალი“ და მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, სადაც იგი კრიტიკულად იხილავს როგორც ევროპულ, ისე ქართულ

ფილოსოფიურ აზროვნებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობას. მისი მეცადინეობით 20-30-იანი წლების თბილისი გადაიქცა მოწინავე აზროვნების დიდმნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. მოკლე ხანში მან შექმნა 30-მდე სხვადასხვა ხასიათის ფილოსოფიური, ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ნაშრომები, რომლებმაც თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნება. მაშინდელი ჩვენი მოღვაწენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ სოლომონ დოდაშვილი იყო ყოველივე იმ წამოწყებების ინიციატორი, რომელსაც წინ მიჰყავდა ქართული კულტურის განვითარება თითქმის ყველა სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დამსახურება ახალგაზრდა კადრების აღზრდაში, რასაც იგი ეწეოდა თბილისის გიმნაზიაში, რომელიც მაშინ განათლების ცენტრად ითვლებოდა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. იგი ცდილობდა, რომ აქ ევროპული განათლების პრინციპები და მეთოდები დაენერგა. მან გამოსცა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალები, სადაც ქვეყნდებოდა ნ.ბარათაშვილის, ქ.მამაცაშვილის, მ.მაჩაბელის და სხვათა წერილები, სტატიები, ლექსები და პროზაული ნაწარმოებები. ბევრი მათგანი შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ სამწუხაროდ განადგურებული იქნა.

განსაკუთრებით აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილს 30-იანი წლების დასაწყისში თბილისში გადმოსახლებულ პოლონელ რევოლუციონერებთან. როგორც ცნობილია პოლონეთის 1830 წლის

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ აჯანყების მონაწილე ასობით პოლონელი გადმოსახლა სამხრეთ გუბერნიებში, მათ შორის ამიერკავკასიაში. ისინი წარმოადგენდნენ მაშინდელი პოლონეთის მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას. ს.დოდაშვილმა მათთან უაღრესად მჭიდრო კავშირურთიერთობა დაამყარა. ისინი როგორც სამხედრო საქმის, განსაკუთრებით არტილერიის მცოდნენი, აქტიურად ჩააბა შეიარაღებული აჯანყების სამზადისში და მათგან შეადგინა ეგრეთ წოდებული „მეზარბაზნეთა ასეულები“. ხოლო, როგორც მოწინავე ევროპული განათლებისა და კულტურის მატარებელი, მათთან მაშინდელი ჩვენი საზოგადოების ურთიერთობით ცდილობდა ევროპული განათლებისა და კულტურის დანერგვას საქართველოში. მისი სახლი და სტამბა პოლონელ და ქართველ ინტელიგენტთა შეხვედრებისა და კეთილნაყოფიერი ურთიერთობის თავისებურ „მასონთა სალონად“ გადაიქცა. ამიტომ იყო, რომ შეთქმულთა დაპატიმრებისას რეპრესიების სუსხი ქართველებთან ერთად, არანაკლებ მოხვდა პოლონელებსაც.

სოლომონ დოდაშვილს ჰქონდა ფართო გეგმა, რომ თბილისი გადაექცია ევროპული განათლებისა და ცივილიზაციის დიდმნიშვნელოვან კერად. იგი ამზადებდა ქართველ ახალგაზრდებს გიმნაზიის მოწინავე მოსწავლეებიდან დაესრულებინათ თავიანთი განათლება ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ცენტრებში და საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოემზადებინათ ნიადაგი ჩვენთან საუნივერსიტეტო განათლების ცენტრის შესაქმნელად. მან დაარსა პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალი, სადაც მოასწრო

მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება მის გარშემო პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის დასარაზმავად, ევროპული მეცნიერებისა და ლიტერატურის სხვადასხვა მიმართულების პროპაგანდა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და ა. შ. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ ქართული ლიტერატურის ისტორიის ანალიზი და მისი განვითარების პირველი მეცნიერული პერიოდიზაცია, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას და მნიშვნელობას.

V თავში „სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა“, „თერგდალეულთა“ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი“, გადმოცემულია სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კუთილნაყოფიერი გავლენა ქართველ სამოციანელებზე. როგორც ცნობილია ამ ფაქტს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ თუ არა სოლომონ დოდაშვილი და „ოცდაათიანელთა თავდადებულის მამულიშვილური მოღვაწეობისა“, სამოციანელები ვერ შეძლებდნენ ცარიელ ნიადაგზე ერისათვის სასიკეთო მუშაობის გაშლას. თვითონ სოლომონ დოდაშვილსაც ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მისი „მუშაკობის“ მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ „განაღვიძოს ქართული აზრი“.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ს. დოდაშვილის ჟურნალისტიკურ მოღვაწეობას. მან ჩამოაყალიბა ქართული ჟურნალისტიკის ეროვნული ტრადიციები, და მას პროგრესული და ზოგადსაკაცობრიო მიმართულება მისცა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, იგი დღე და ღამე იმყოფებოდა სტამბაში და

მასთან იკრიბებოდნენ ყველა, ვინც საქართველოს მომავალზე ფიქრობდა. ს. დოდაშვილს ახასიათებდა მეტად მგზნებარე და ლოგიკური თანმიმდევარი ემოციური რიტორიკული სტილი, რისი წყალობითაც იგი ასეთივე პატრიოტიზმით მუხტავდა თავის გარშემომყოფთ. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული ურთიერთობა და იდეური სიახლოვე ნიკოლოზ ბარათაშვილთან. სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ რაც შეიძლება ვრცლად შევჩერებულ-იყავით მოსწავლე-მასწავლებლის ამ მართლაც საოცარ და უნიკალურ ურთიერთობაზე და ამით გვეჩვენებინა ის ორგანული კავშირი, რაც დოდაშვილმა და მისმა თაობამ შეასრულა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში.

ჩვენ შევეცადეთ აგრეთვე წარმოგვეჩინა ის შეხების წერტილები, რაც უდავოდ შეიმჩნევა ილიასა და ქართველ სამოციანელთა ეგრეთწოდებულ „პირველ დასსა“ და სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის. ეს უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს მათ საერთო ეროვნულ ხასიათში. სოლომონ დოდაშვილი შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს „პირველი დასის“ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მსოფლმხედველობის იდეოლოგს და გზამკვლევს. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის მთავარი პოლიტიკური იდეის ეროვნული ერთობის კონცეფციის შემუშავების თვალსაზრისით. ილიასა და სამოციანელთა მსგავსად, სოლომონ დოდაშვილს მიაჩნდა, რომ „საქართველოს ძნელბედობის“ არსი მდგომარეობს არა იმდენად გარეშე მტერთა მოძალების ფაქტორში, რამდენადაც „ქართველთა ერთსულობისა და ერთხორცობის

დარღვევაში". ამიტომ აუცილებელია პირველ რიგში აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რომლებიც სთიშავენ ერს და ამით უადვილებენ გარეშე მტრებს მიაღწიონ თავიანთ მზაკვრულ მიზნებს. იგი გამოკვეთილადაა ნაჩვენები სოლომონ დოდაშვილის „სიტყვა-მოწოდებაში“, 1832 წლის შეთქმულების თავისებურ „ქართულ მანიფესტში“.

ამ მთავარ პოლიტიკურ იდეას ემორჩილება და მისგან იღებს სათავეს სოლომონ დოდაშვილის სხვა დანარჩენი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, რომლებიც შემდგომში გაზიარებული და განვითარებული იქნა ქართველ სამოციანელთა მიერ. ნაშრომში განსაკუთრებით აღვნიშნავთ სოლომონ დოდაშვილის იდეას გლეხობის, როგორც „ქვეყნის გადამრჩენი ძალის“ შესახებ. თვითონაც დაბალი სოციალური წრიდან გამოსული, გლეხობას განიხილავდა იმ ისტორიულ ძალად, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს მომავალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში. მას ილიას მსგავსად მიაჩნდა, რომ გლეხობაში განათლების გავრცელების გარეშე, ეს დიდი ეროვნული მიზანი ვერ განხორციელდება. ამიტომ იგი ყოველნაირად ცდილობდა გლეხთა წრიდან განათლების მისაღებად ახალგაზრდების მოზიდვას. აღსანიშნავია მის მიერ სასწავლებლების მზუნველობა უშუალოდ პერიფერიებში. კერძოდ, იგი თვითონ მონაწილეობდა ქიზიყში ასეთ საგანმანათლებლო საქმიანობაში, ხოლო მისი დახმარებით 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ფილადელფოს კიკნაძე თავისებურ „საკვირაო სკოლებს“ ხსნიდა სხვადასხვა სასოფლო დასახლებებში.

მემკვიდრეობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნე-

ლოვანი საერთო ნიშნებია სოლომონ დოდაშვილის ეკონომიკურ შეხედულებებსა და ქართველ სამოციანელთა ეკონომიკურ პროგრამას შორის. ორივე თაობას მიაჩნდა, რომ სამრეწველო განვითარების პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ახალ ტექნიკურ საფუძვლებზე გადაყვანას და ამ გზით ერის ძირითადი მწარმოებელი ძალების სწრაფი ტემპით განვითარებას.

**დისერტაციის VI თავში** „შეთქმულთა პოლიტიკური მემკვიდრეობა და თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები“, გადმოცემულია სოლომონ დოდაშვილის და 1832 წლის შეთქმულების სხვა მონაწილეების, აგრეთვე, მათი შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის მიმართება თანამედროვე პოლიტიკურ იდეოლოგიებთან. საქართველოს კოლონიური სინამდვილე ისეთი იყო მთელი ამ 200-ზე მეტი წლის მანძილზე, რომ ფაქტიურად ყოველთვის რაღაც “შეთქმულება” იყო მეტროპოლის წინააღმდეგ. ჩვენ ყველა შეთქმულები ვართ-ამბობდა ივანე ჯავახიშვილი თავისებური იუმორით, დისიდენტობაც თავისებური შეთქმულება იყო კომუნისტური ტოტალიზმისა და დიქტატურის წინააღმდეგ. თუ ყურადღებით გადავხედავთ ს.დოდაშვილის წერილებს, განსაკუთრებით კი პეტერბურგსა და მოსკოვში ბატონიშვილებისადმი და იოანე ხელაშვილისადმი გაგზავნილ მრავალრიცხოვან წერილებს ვნახავთ, რომ თავისებური შეფარვით და კონსპირაციულად მათში გადმოცემულია ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გარკვეული ისეთი იდეები და პრინციპები, რომლებიც ეხმაურებიან მაშინდელ ევროპაში გაბატონებულ ძირითად პოლიტიკურ იდეოლოგიებს კონსერვ-

ატიზმს,ლიბერალიზმს და სოციალ-დემოკრატიზმს.

ს. დოდაშვილის შემდეგ ეს იდეოლოგიები ბუნებრივია განვითარდნენ, გაჩნდნენ ახალი პოლიტიკური თეორიები, მაგრამ ეს სამი მიმართულება დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ამ ცვლილებებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც საქართველოში პოლიტიკური პარტიების ნამდვილი ბუმი დადგა. “დას-დასად დაიყო საქართველო” - წერდა ილია და განსაკუთრებით ასარუებდა “მესამე დასის” გამოჩენას, რომელიც თავიდანვე ანტიეროვნულ პოზიციაზე დადგა.

ამ მიმართულების პარტიებიდან ყველაზე ახლოს ეროვნულ ინტერესებთან “სოციალ-ფედერალისტთა პარტია” იყო. იგი აღმოჩნდა სოლომონ დოდაშვილის, 1832 წლის შეთქმულების, ილიას და “სამოციანელების” იდეური მემკვიდრე. ის ყველაზე ახლოს იდგა იმდროინდელი ევროპის იმ პოლიტიკურ იდეოლოგიებთან, რომლებმაც ორი სისხლის-მღვრელი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპა გაერთიანებისა და სტაბილური განვითარების გზაზე დააყენა.

თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებთან ერთად, უდიდესი როლი ითამაშა XVIII-XIX საუკუნეების ამერიკულმა პოლიტიკურმა მსოფლმხედველობამ, ამერიკის კონსტიტუციამ და მათზე დაფუძნებულმა ამერიკის შეერთებული შტატების ფორმირებამ. ეს ის ეპოქაა, რომელშიც ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდათ სოლომონ დოდაშვილს და სხვა შეთქმულებს, ისე როგორც შემდგომში

თერგდალეულებს და “პირველი დასის” მესვეურებს. ეროვნული მემკვიდრეობის გარდა, ამ მოწინავე ევროპულ-ამერიკულ პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე ყალიბდებოდა მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, კერძოდ კი, “საერთო ნიადაგის” თეორია.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ მსოფლმხედველობის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებსა და იდეებს, როგორებიცაა სახელმწიფოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობა, ხელისუფლების შტოების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ურთიერთდამოკიდებულება, ეროვნული ეკონომიკის ფორმირება და ადგილობრივი თვითმართველობა. დისერტაციის ამ შემაჯამებელ თავში შევეცდებით გავაანალიზოთ ეს საკითხები XIX საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში და ვაჩვენოთ მათი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დღევანდელი გარდამავალი პერიოდის პრობლემების გათვალისწინებით. ამ ანალიზს გარკვეულ თემატურ კლასიფიკაციას მივცემთ და ამდენად, შესაბამის ქვეთავებად გადმოვცემთ.

## ა) ფედერალიზმი

სტატიათა ციკლში “ცხოვრება და კანონი”, ილია ჭავჭავაძე წერს: “ბუნებამ რაც უნდა სიმდიდრით მორთოს ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰაეა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოობისათვის, მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს ვერა შევლის ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად

განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა”.

სტატიათა ციკლის მთავარი პოლიტიკური დედააზრი არის სახელმწიფო მართველობის მოწყობა ფედერალიზმის პრინციპებზე ფართო ადგილობრივ თვითმართველობით. ეს არის არა მარტო ილია ჭავჭავაძის და მისი ”საერთო ნიადაგის” თეორიის, ანდა, 1830-1832 წლების შეთქმულების და მისი ლიდერის სოლომონ დოდაშვილის პოზიცია, არამედ მთელი XIX-XX საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნების საერთო მრწამსი.

პოლემიკას ამ თემაზე სათავე დაუდო ილია ჭავჭავაძის სტატიათა ციკლმა ”ცხოვრება და კანონი”. ილია ყოველთვის გამოდიოდა იმ ზოგად სოციოლოგიური პრინციპიდან, რომ ცხოვრება თვითონ ქმნის და თვითონ კარნახობს ადამიანებს, თუ როგორ უნდა მოძებნონ და დანერგონ ცხოვრებაში სწორი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები.

ფედერალიზმის პრინციპებიც, მათ შორის ადგილობრივი თვითმართველობა, ცხოვრებიდან, საზოგადოების განვითარების ბუნებრივი-ისტორიული პროცესიდან იღებს სათავეს და თავის მასაზრდოებელ ფესვებს.

ილია ჭავჭავაძის შემდეგ ფედერალიზმისა და ადგილობრივი თვითმართველობის პრობლემებზე ყველაზე საფუძვლიანი სიტყვა ვარლამ ჩერქეზი-შვილმა თქვა. იგი „შეთქმულთა თაობას“ ეკუთვნოდა და ილია ჭავჭავაძის მსგავსად, მასაც რთულ პერიოდში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა.

მიუხედავად საქართველოდან ასეთი ხანგრძლივი მოწყვეტისა, ვარლამ ჩერქეზიშვილს არასოდეს შეუწყვეტია საქართველოზე ფიქრი და ოცნება. ჯერ

კიდევ 1894 წელს მან თანამშრომლობა დაიწყო ილია ჭავჭავაძესა და მის „ივერიასთან“. მას არაერთი სტატია აქვს გამოქვეყნებული როგორც საშინაო პოლიტიკის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა პრობლემებზე. „ივერიაში“ მან ფსევდონიმად „ვაზიანელი“ აირჩია.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის თანამშრომლობას მაშინდელი ევროპის პრესასთან. იგი ითვლება ანარქიზმის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულების ანარქო-სინდიკალიზმის ფუძემდებლად. ამ მიმართულების მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს თანამედროვე სახელმწიფოები თანდათანობით უნდა გარდაიქმნან თავისებურ თვითმმართველურ სინდიკატებად, რითაც სახელმწიფოს ცენტრალიზებული მართვის ტრადიციული პრინციპები ბოლოს ადგილობრივი, ანუ, რეგიონალური დეცენტრალიზირებული მართვა-გამგეობის სახეს მიიღებს. ამ თეორიას „სახელმწიფოს კედომის“ თეორიისაც უწოდებენ. მან განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა I მსოფლიო ომის შემდეგ.

დიდია ვარლამ ჩერქეზიშვილის დამსახურება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც. I მსოფლიო ომის შემდეგ, გამსაკუთრებით კი, 1918 წელს აღსრულდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ოცნება. საქართველომ შესძლო რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავის დაღწევა. იგი ამავე წელს დაბრუნდა ევროპიდან საქართველოში და აქტიურად ჩაება ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. მაგრამ სამწუხაროდ ეს დიდხანს არ გაგრძელდებულა. საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალში კვლავ მოახდინა საქართველოს

ოკუპაცია. უკვე 75 წელს მიღწეული ვარლამ ჩერქეზიშვილი იარაღით ხელში სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ კოჯრის მისადგომებთან, მაგრამ ძალები აშკარად უთანასწორო იყო. თბილისის დაცემის შემდეგ, 1921 წლის მარტში ვარლამ ჩერქეზიშვილი იძულებული გახდა კვლავ ევროპისთვის შეეფარებინა თავი. ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში მან ამხილა ბოლშევიკური რუსეთის ანტიჰუმანური და ანტიდემოკრატიული ბუნება და იწინასწარმეტყველა მისი ისტორიული კრახი.

დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვარლამ ჩერქეზიშვილის ის პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც მომავალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემებს ეხება. ეს მასალები გაფანტულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

მათი მოძიება და დამუშავება ნათელს მოჰფენს ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრ დღემდე უცნობ ფაქტებს.

რა არის ფედერალიზმი? მისი უამრავი დეფინიცია არსებობს პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში, მაგრამ მისი არსი ერთია: ეს არის მოცემული სახელმწიფოს ისეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა, რომლის პირობებშიც, როგორც ილია წერს, „ყველა ადგილობრივი საქმენი ადგილზევე წყდება“.

სწორედ ილიასეულმა პოლიტოლოგიურმა ანალიზმა მისცა ბიძგი ვარლამ ჩერქეზიშვილს შეექმნა მთელი თეორია, რომელიც „ანარქო-სინდიკალიზმის“ სახელით შევიდა ისტორიაში. მაშასადამე, ილიას მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მომავალი განვითარება ისე უნდა წარიმართოს, რომ ცენტრალური მმართველობა შესუსტდეს, ადგილობ-

რივი მმართველობა გაძლიერდეს და ყველაფერი დაექვემდებაროს სასოფლო-სათემო გამგეობას, ანუ, „სინდიკატებს“, როგორც ეს ევროპულ პოლიტიკურ იდეოლოგიებში დამკვიდრდა მაშინ, რასაც ხშირად ხმარობდა მაშინ ვარლამ ჩერქეზიშვილიც.

რუსეთის იმპერიაში იყვნენ მაშინ ძალები, რომლებიც სახელმწიფო მართვა-გამგეობის ასეთ დეცენტრალიზაციას, „სათემო მმართველობას“ უჭერდნენ მხარს. ასეთ მიმდინარეობას „ზაპადნიკობას“, ანუ, „მედასავლეთეობას“ უწოდებდნენ, ხოლო საპირისპირო მიმდინარეობა, რომელიც სახელმწიფო მართვა-გამგეობის ცენტრალიზმს უჭერდა მხარს და მასზე აგებული პარტიული პროგრამა ჰქონდათ - „სლავოფილებს“. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებოდნენ ბოლშევიკებიც რუსი მარქსისტები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ზემოაღნიშნული „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორია. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ერთ მეტად საინტერესო პოლემიკაზე ვარლამ ჩერქეზიშვილსა და რუს მარქსისტებს შორის, რომელიც მოჰყვა 1905 წელს პარიზში გამომცემულ ვარლამ ჩერქეზიშვილის წიგნს - „მარქსიზმის დოქტრინები“. აქ იმდენად დასაბუთებული კრიტიკაა მარქსიზმის სხვადასხვა დოგმებისა და პრინციპების, რომ მასზე პასუხი გაუჭირდათ თვით ისეთ გამოჩენილ მარქსისტ-თეორეტიკოსებს, როგორც კაუცკი, ლენინი და პლეხანოვი იყვნენ. შემდეგში, როცა გაიგეს, რომ „ჩერკეზოვი“ (ასე იცნობდნენ რუსეთსა და ევროპაში ვარლამ ჩერქეზიშვილს), ეროვნებით ქართველი იყო, მის წინააღმდეგ კრიტიკული წერილის დაწერა დაევალა სტალინს. ასე გაჩნდა სტალინის ცნობილი ნაშრომი - „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“

სტალინის პოლემიკა ვარლამ ჩერქეზიშვილთან ეს არის ფაქტიურად კამათი და დისკუსია თემაზე რომელი გზა უნდა აირჩიოს რუსეთმა თავის სამომავლო განვითარებაში: კვლავ ძველი ცენტრალიზებულ-იმპერიული მმართველობის, თუ ევროპულ-დემოკრატიული და ცივილიზირებული სახელმწიფო მმართველობის? ვარლამ ჩერქეზიშვილის და მისი თანამოაზრე „ზაპადნიკების“ - კრაპოტკინის, ბაკუნინის რუსეთში, საქართველოში - ძმები გოგელიების, გრიგოლ რობაქიძის, არჩილ ჯორჯაძის და საერთოდ, მთელი „ფედერალისტების“ პოზიციის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთმა თუ რევოლუციის შემდეგ (ამ დროს უკვე მიმდინარეობდა რუსეთის 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია), არ აირჩია „დასავლეთის გზა“ თავის მომავალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში და მარქსისტული „პროლეტარიატის დიქტატურის“ გზას დაადგა, მაშინ იგი შექმნის ცარიზმზე უარეს რეაქციულ იმპერიას და არა დემოკრატიულ სახელმწიფოს. ამიტომ დიქტატურის მარქსისტულ-ბოლშევიკურ დოქტრინას“ ვარლამ ჩერქეზიშვილმა დაუპირისპირა სახელმწიფო დეცენტრალიზაციისა და სათემო თვითმმართველობაზე გადასვლის იდეა. ამ იდეამ და მასზე აგებულმა „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორიამ დიდი გავლენა მოიპოვა რუსეთსა და ევროპაში. ამიტომ მისი კრიტიკა და უარყოფა არ იყო იოლი საქმე. ამიტომ მიუდგა სტალინი დიდი პასუხისმგებლობით და სერიოზულ-ობით.

იშვიათად ნახავთ სტალინის პოლემიკურ მემკვიდრეობაში ოქტომბრის გადატრიალებამდე და ოქტომბრის შემდეგაც ასეთ ვრცელ პოლემიკურ

წერილებს თვით ტროცკისა და ტროცკისტების წინააღმდეგაც კი. ანარქიზმი და ანარქისტების პოლიტიკური მსოფლმხედველობა ზოგს მართლაც პათოლოგიად და სიგიჟედ მიაჩნია, მაგრამ ეს არის სახელმწიფოებრიობის განვითარების ისეთი პოლიტიკური გააზრება, რომლის არსია სახელმწიფოს ევოლუცია თვითმმართველურ კორპორაციებად, ანუ „სინდიკატორებად“. ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება და რეგიონალიზმი გახდა მისი და მისი ევროპელი თანამოაზრეების პოლიტიკური სტრატეგია. თუ როგორ იმუშავა ამ სტრატეგიამ, დღევანდელ ევროპაში ყველა ვხედავთ. რაც შეეხება საქართველოს, აქ ვარლამ ჩერქეზიშვილის და მისი ინიციატივით შექმნილი „სოციალ-ფედერალისტთა პარტიის“ პოლიტიკური სტრატეგია იყო საქართველოს და მომავალში კი, მთელი კავკასიის ფედერალიზმის (კონფედერალიზმის) პრინციპზე მოწყობა იგივე ფართო ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალიზმის პრინციპებზე. მიწის პრობლემა იმდაგვარად უნდა გადაჭრილიყო, რომ ჩვენი ტრადიციული მიწამფლობელობისა და მიწათსარგებლობის ხუთივე ფორმა (კერძო, სასოფლო-სათემო, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და ხიზნური, ანუ, დროებითი მიწათსარგებლობა), დაქვემდებარებოდა სასოფლო-სამეურნეო კორპორაციათა („ხოდაბუნების“) ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნას. ამას დღეს ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „ხოდაბუნური სოციალიზმის“, ანდა, „ქართული სახალხო კაპიტალიზმის“ იდეა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ეს იდეა ფართო პოპულარობით სარგებლობდა საქართველოშიც და ევროპაშიც. ილიას „ცხოვრება და კანონი“

ფაქტიურად ამ იდეის თეორიული დასაბუთებაა და ერთდროულად „საერთო ნიადაგის“ თეორიის სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთებაც. ზუსტად იმავე პერიოდში (1895 წელს), ვენაში გამოიცა თეოდორ ჰერცლის „ებრაული სახელმწიფო“, რაც შემდგომში პალესტინის ებრაული „კიბუცების“ თვითმართველურ საწყისებზე აღორძინება-განვითარების და II მსოფლიო ომის შემდეგ ებრაული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი გახდა. თვითონ ვარლამ ჩერქეზიშვილმა 1918-20 წლებში რამოდენიმე „ხოდაბუნური“ კორპორცია შექმნა ივრისპირეთში...

მაგრამ სამწუხაროდ, ის, რაც ევროპაში და პალესტინაში განხორციელდა, ჩვენთან მივიწყებულია. თითქმის მრავალი პარტია აღორძინდა და შეიქმნა ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, მაგრამ „სოციალ-ფედერალისტთა პარტია“ არავის გაგვხსენებია. ესეც ხომ თავისებური სიმბოლიკა და პარადოქსია!

ვარლამ ჩერქეზიშვილი ის მოღვაწეა, რომლის მემკვიდრეობა არა მარტო ადგილობრივ თვითმართველობისა და რეგიონალიზმის კუთხით, არამედ მთელი მისი პოლიტიკური მემკვიდრეობის თვალსაზრისით დღეს ჩვენგან შესატყვის გათვალისწინებას და გათავისება გათანამედროვეობას ელის. ილია ჭავჭავაძესთან, არჩილ ჯორჯაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვა გამორჩენილ მოღვაწეებთან ერთად, მან შექმნა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მოდელი, რომელიც დღევანდელი თუ ხვალინდელი თაობებისაგან პრაქტიკულ განხორციელებას ელის ...

## ბ) ევოლუცია და რევოლუცია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით XIX-XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში კვლევა-ძიების და დისკუსიის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენდა ევოლუციისა და რევოლუციის პრობლემათა კვლევა. მას სათავე ჯერ კიდევ სოლომონ დოდაშვილმა დაუდო: მართალია პრაქტიკულ პოლიტიკაში იგი რევოლუციისა და შეიარაღებული აჯანყების პოზიციაზე დგას, მაგრამ თეორიულად მისი „ლოგიკა“ ევოლუციონიზმის პირველი ქართული დოკუმენტური დასაბუთებაა. ეს ვიმეორებთ, აზროვნების სფეროში ხდებოდა, ლოგიკის კანონების ფილოსოფიური არგუმენტაციით, მაგრამ სამოციან-ელეგებში ამან პრაქტიკული სახე შეიძინა ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახით.

ილიას გენიოსობა იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციებმა, რომელთა ტალღამ XVIII-XIX საუკუნეების ევროპას ცუნამივით გადაუარა, ნაკლები სოციალურ-ეკონომიკური სიკეთე მოუტანა ევროპის ხალხებს, ვიდრე ევოლუციურმა განვითარებამ. ნიმუშად მას ხშირად მოჰყავდა ინგლისის ე.წ. „მშვიდობიანი სამრეწველო რევოლუცია“, რომელმაც მთლიანად გარდაქმნა ინგლისისა და მასთან ერთად ევროპის ყოფაცხოვრება. აანალიზებდა რა თავისი ეპოქის ევროპისა და ამერიკის განვითარებას, იგი ხაზს უსვავდა სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკის მშვიდობიანი, ევოლუციური განვითარების უპირატესობას ევროპასთან შედარებით. მისი სტატია - „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, სწორედ ამ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა

აგებული. „რევოლუცია ვერაფერი იარაღია ცხოვრების განსაკარგავად. ამისათვის კაცობრიობამ მოიგონა წარმომადგენლობითი მმართველობა“.

„წარმომადგენლობითი მმართველობა“ - აი, რა ამოძრავებდა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. თვთმმართველობასთან ერთად ეს იყო გზა ეროვნული იდენტურობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამიტომ წამოაყენა რუსეთთან მიმართებაში საქართველოს ავტონომიის პოლიტიკური პროგრამა. ილია ჭავჭავაძის „ავტონომიის პროგრამა“ მაშინდელ პირობებში ნიშნავდა გარუსება-ასიმილაციისგან თავდაცვის საშუალებას კატკოვებისა და იანოვსკების შოვინიზმის წინააღმდეგ. ეს ნიშნავდა რუსეთის იმპერიის ფედერალიზმის პრინციპზე სახელმწიფოებრივ მოწყობასაც. აღსანიშნავია, რომ როცა ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლებაში, სტალინმა სწორედ ილიას „ავტონომიზაციის პროგრამა“ წამოაყენა რუსეთის სახელმწიფოებრივი და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საფუძვლად, თუმცა, ჩვეული ბოლშევიკური დემაგოგიით, ვითომცდა ყველა ერს „სახელმწიფოებრიობა დაუკანონეს“ - ასე შეიქმნა „სსრკ“, რომელსაც რ. რეიგანმა მოსწრებულად „ბოროტების იმპერია“ უწოდა.

სოლომონ დოდაშვილი და შეთქმულთა პროგრამა ითვალისწინებდა სახელმწიფოებრიობის და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას ფედერალიზმის პრინციპებზე. გამარჯვების შემთხვევაში, მათ მთლიანად კავკასიის მიმართაც პქონდათ ეს განზრახული ოღონდ, ფედერალიზმისა და კონფედერაციის გარკვეული სინთეზით. ეს ის ეპოქაა, როდესაც ევროპაში ეს პოლიტიკური იდეები

უკვე პრაქტიკულად ხორციელდებოდა შვეიცარიის მსგავსად, ხოლო ამერიკაში უკვე მოქმედებდა კონსტიტუცია ფედერალიზმის სამართლებრივ და პოლიტიკურ პრინციპებზე. ეს ის ეპოქა იყო, როცა ნაპოლეონის ომების შემდეგ დეკაბრისტები და საერთოდ, მაშინდელი რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ევროპულს ეზიარა და დაუახლოვდა. ეს იყო „ზაპადნიკობის“ და „სლავოფილობის“ ყველაზე დიდი დაპირისპირება რუსეთის იმპერიის ისტორიულ განვითარებაში, რასაც თვითონ ალექსანდრე პირველი, ყველაზე დიდი „ლიბერალი იმპერატორი“, უწყობდა ხელს.

ამავე დროს, „ამერიკული იდეებიც“ შემოდის რუსეთში და უთოოდ ამანაც ითამაშა თავისი როლი ზემოაღნიშნული ფედერალიზმის იდეების გავრცელებაში-შეთქმულთა პოლიტიკურ პროგრამაში. ეს აშკარად ჩანს შეთქმულების მასალებიდანაც, იქ სადაც ფიგურირებს სოლომონ დოდაშვილის და ოქროპირ ბატონიშვილის ჩვენებები. ეს უკანასკნელი, როგორც რეპრესირებული ბაგრატიონი, მომავალი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ევროპული მოდელის მომხრე იყო და ამდენად დასავლური პოლიტიკური იდეოლოგიების დიდ გავლენას განიცდიდა. „განსჯასა და არჩევანზე დაფუძნებული მმართველობა“ - აი, რა იყო მისი, სოლომონ დოდაშვილის და რიგი სხვა შეთქმულების მიზანი. აღსანიშნავია, რომ პირველი ამერიკელი ფედერალისტების მოთხოვნებიც დაახლოებით იგივე პოლიტიკურ საფუძვლებზე განვითარდა. ეს კარგად ჩანს ახლახანს გამოცემული კრებულიდან - „ფედერალისტური წერილები“, სადაც თავმოყრილია ალექსანდრე ჰამილტონის, ჯეიმს მედისონის და ჯონ ჯეის წერილები. დღევანდელ საქართველოში

ფედერალიზმის იდეები მიუღებელი და კრიტიკის  
ობიექტი გახდა, მაშინ, როდესაც XIX-XX საუკუნეებში  
ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში იგი დიდი  
პოპულარობით სარგებლობდა. ამიტომ მეტად კარგი  
საქმე გააკეთდა ამერიკელი ფედერალისტების  
წერილების თარგმნით, რათა უფრო მეტი  
სერიოზულობით მივუდგეთ მას ახალი ქართული  
სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გარდამავალ  
პერიოდში.

### გ) “საერთო ნიადაგის” თეორია და თანამედროვე მოდერნისტული თეორიები

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი-  
დიალექტიკოსი ჰერაკლიტე აღნიშნავდა, რომ  
უცვლელი და მდგრადი არაფერია. ”ერთსა და იმავე  
მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“- ამ მხატვრული  
შედარებით იგი ხაზს უსვავდა “ყველაფრის  
წარმავლობის” იდეას, რაც ჩვენს ფოლკლორშიც  
აისახა შესანიშნავი ქმნილებით “ბინდისფერია  
სოფელი”...

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველაფერი ძველი  
უკვალოდ არ ქრება და იგი გარკვეული  
სახეცვლილებით პერიოდულად მეორდება.  
პოლიტიკურ თეორიებშიც შეინიშნება ეს და ამ  
ქვეთავში გვინდა შევჩერდეთ XX-XXI საუკუნეთა  
მიჯნაზე დამკვიდრებულ ისეთ თეორიებზე,  
რომლებიც ახალ იერ-სახეს აძლევენ ძველ  
პოლიტიკურ თეორიებს ჩვენი ეპოქის ახალ  
ისტორიულ პირობებში. ამასთან, ატომური და  
წყალბადის მასობრივი მოსპობის იარაღის გაჩენამ  
სრულიად ახლებურად დააყენა საერთაშორისო  
ურთიერთობებისა და შესაბამისად, პოლიტიკური

თეორიების საკითხი. “რეალიზმი” და “ნეორეალ-  
იზმი” გახდა მრავალრიცხოვანი თეორიების მკვებავი  
წყარო. ყველას კარგად ესმოდა, რომ დაპირისპი-  
რებისა და დაძაბულობის მუდმივი ზრდა ახალ  
ატომურ-რაკეტულ ომამდე მიიყვანდა მსოფლიოს.  
ბერტრან რასელის “მფრინავი ფრაზა“- (თუ ჩვენ არ  
შეგვიძლია ერთად ცხოვრება, მაშინ ჩვენ მოგველის  
ერთად სიკვდილი), გახდა ის გამაერთიანებელი ძალა,  
რომელმაც გააერთიანა პროგრესული ძალები  
აგრესიისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ. ომის  
მაგივრად თანამშრომლობა ასეთია ეპოქის მოთხოვნა,  
რომელიც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ გამოხატა  
გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის  
ხსოვნისადმი მიძღვნილ სიტყვაში - „დაპირის-  
პირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის  
დაუმონებლად და შეუბღალავად“. ეს პრინციპი  
შესანიშნავად ესადაგება ნილს ბორის ერთ მეტად  
სიმბოლურ სამახსოვრო წარწერას, რომელიც მან 1961  
წელს თბილისში სტუმრად ყოფნისას გააკეთა -  
„დაპირისპირებულნი ურთიერთ-გამომრიცხავნი კი  
არა, ურთიერთშემავსებელნი არიან“.

ეს გზავნილი, რომელიც ნილს ბორმა  
კონვენტის თეორიის არგუმენტად გააკეთა  
„წონასწორობის“, ანდა, „ძალთა ბალანსის  
პოლიტიკის“ ქვაკუთხედი მთელი II მსოფლიო ომის  
შემდგომ პერიოდში. ორი დიდი გენიოსი მოაზროვნის  
იდეური თანხვედრა, შეიძლება შეფასდეს ილია  
ჭავჭავაძის და ნილს ბორის, ორი სხვადასხვა  
ისტორიული ეპოქის მოაზროვნისა და მოღვაწის  
ზოგად-სოცოლოგიური წვდომა. მართალია  
ყველაფერი იცვლება ამქვეყნად, მაგრამ დიდი  
იდეები და ჭეშმარიტებანი არასოდეს კარგავენ  
თავიანთ ძალასა და აქტუალობას.

კონვერგენციის თეორიამ დიდი როლი შეასრულა გასული საუკუნის 60-80იან წლებში კომუნისტური ტოტალიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ფაშიზმის დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და აგრესიული გახდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წინააღმდეგობა და დაპირისპირება სრულებითაც არ შესუსტებულა, მაშასადამე, არც ომის საფრთხე. ეს ეხება არა მარტო წვრილ-წვრილ ლოკალურ ომებს, ანდა, ტერორიზმის საფრთხეს, არამედ თვით დიდ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებას და წინააღმდეგობას. ასე, რომ „ილიასეული დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგებისაგან“ ჯერ კიდევ ძალიან შორს არის მსოფლიო, მისი შემადგენელი ცალკეული ქვეყნები და რეგიონები. ამიტომ ახალმა ვითარებამ მოითხოვა ახალი პოლიტიკური ხედვა და თეორია. „ცივილიზაციათა და კულტურათა შეჯახების თეორია“ კაცობრიობას სიკეთეს და მშვიდობას არას უქადდა და ამიტომ მისი შეცვლა ე.წ. „რბილი ძალის“ თეორიით სრულიად ლოგიკური იყო. აქ კვლავ გადაამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფაქტორმა ითამაშა, რომელიც თავისი ატომურ-რაკეტული პოტენციალით და აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. მისი ნათელი მაგალითია თუნდაც 2008 წლის აგვისტო.

## დ) რბილი ძალის“ თეორია და „საერთო ნიადაგის“ თეორია

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო განვითარება სრულიად ახალი მიმართულებით წავიდა: ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის დაშლამ და „ცივი ომის“ დამთავრებამ თითქოს გზა გაუხსნა ერებს და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ახალ პოლიტიკურ სტრატეგიას და პერსპექტივებს, მაგრამ მეორე მხრივ, მსოფლიოს ბევრ რეგიონში გაჩნდა დაძაბულობისა და დაპირისპირების ისეთი საშიში კერები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მსოფლიო მშვიდობას და სტაბილურობას. ეს განსაკუთრებით ეხება ევრაზიურ სუბკონტინენტს და მის საკვანძო არეალს კავკასიას. ბევრი ექსპერტი იმ აზრისკენ იხრება, რომ დღეს ჩვენს რეგიონში მიმდინარეობს „ახალი კავკასიური ომი“...

ასეთ პირობებში ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკური თეორიების უკეთ გაცნობას და მათ სათანადო პოლიტოლოგიურ ანალიზს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას. მათგან მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ე.წ. „რბილი ძალის პოლიტიკას“. იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამერიკის პოლიტიკურ წრეებში და ორგანულად უკავშირდება ბარაკ ობამას მიერ რუსეთთან დაწყებულ ე.წ. „გადატვირთვის პოლიტიკას“. ჰილარი კლინტონის მიერ სერგეი ლავროვთან წითელ ღილაკზე ერთობლივად ხელის დაჭერის სცენა ნათლად გამოხატავს ამ ახალი პოლიტიკური თეორიის სიმბოლიკას.

„Soft Power“ ამერიკული სლოგანის პირდაპირი თარგმანი ქართულად „რბილ ძალას“ ნიშნავს,

მაგრამ მას აქვს თავისი სინონიმებიც „ნაზი“, „ზომიერი“, „გონივრული“... ვფიქრობ, რომ ეს უკანასკნელი თავისებურად გამოხატავს ამ თეორიის მთავარ პოლიტიკურ ფილოსოფიას: თანამედროვე მასობრივი მოსაზრების იარაღის პირობებში არ დავეშვათ დაძაბულობის ისეთი ესკალაცია, რომელიც დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირებას ატომურრაკეტული ომის ზღვრამდე მიიყვანს. ახლახანს რატიფიცირებული ამ იარაღის 30 პროცენტიანი შემცირების ე.წ. „სტარტის“ ხელშეკრულება ამ პოლიტიკის პირველი რეალური შედეგია. იგი ასევე ობამა-კლინტონის ტანდემის „უატომო მსოფლიოსკენ“ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

„რბილი ძალის“ თეორიას ბევრი ეჭვის თვალთ უყურებს დღესაც. ეს განსაკუთრებით შეინიშნება 2001 წლის 11 სექტემბრის „ალ-ქაიდას“ ტერაქტის შემდეგ, ასევე, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ატომური ამბიციების ფონზე. მის ალტერნატივად განჩნდა ე.წ. „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორია. ასე, რომ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის დასაწყისი მსოფლიო პრაქტიკული პოლიტიკისა და პოლიტიკური თეორიების თვალსაზრისით ორ განსხვავებულ პოზიციაზე დგას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურიც არის. თუ ახლო წარსულის ისტორიას გადავხედავთ, ასეთ დაპირისპირებულ თეორიებს და პოზიციებს ბევრს ვნახავთ...

ნათქვამია, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია და „რბილი ძალის“ თეორიას თავისი ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები გააჩნია. 100 წლის წინ, როცა კაცობრიობა I მსოფლიო ომის ზღვარზე იმყოფებოდა, როგორც

„ანტანტის“, ისე „სამთა კავშირის“ ქვეყნებში განიარაღებისა და დაძაბულობის განმუხტვის პრობლემის ერთერთი ყველაზე აქტუალური თეორიული დილემა გახდა. იწერებოდა ასობით და ათასობით ნაშრომები მასზე და ჩვენთვის საამაყო უნდა იყოს ის, რომ ნიკო ნიკოლაძე იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ამ პრობლემაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა უენევაში. ყველაზე მწყობრი სისტემა პოლიტიკაში და პოლიტიკურ თეორიებში მაშინ ვუდრო ვილსონმა შექმნა, მაგრამ ამ ცდებს XX საუკუნის I ნახევარში შედეგი არ მოჰყოლია...

დღესაც დაახლოებით იგივე სიტუაცია არის შექმნილი. მსოფლიო არ შეიძლება დიდხანს იმყოფებოდეს ომის საფრთხისა და დაძაბულობის მუდმივი წნეხის ქვეშ. მასზე აგებული პოლიტიკა საბოლოო ჯამში, კაცობრიობას კატასტროფამდე მიიყვანს. ამიტომ „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორია და პრაქტიკა სიკეთეს არაფერს მოგვიტანს. ამიტომ ერთადერთი ალტერნატივა „რბილი ძალის“ თეორიაა. სხვათა შორის, თვითონ „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიის ერთერთი ფუძემდებელი სამუელ ჰანტინგტონი გრძნობდა ამ თეორიის ფატალურ ხასიათს კაცობრიობის მომავალი განვითარებისთვის და გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე არსებითად შეიცვალა პოზიცია. მას ადრეც მიაჩნდა, რომ „ცივილიზაციათა შეჯახება თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების განვითარების უკანასკნელი სტადია იქნებოდა“.

რა გზამ და პოლიტიკურმა მეთოდებმა უნდა გახადონ შესაძლებელი, რომ კონფლიქტები და ომები მართლაც გახდნენ „მსოფლიო განვითარების უკანასკნელი სტადია“? ამ კითხვაზე ადექვატური პასუხის გასაცემად „რბილი ძალის“ თეორიას

შემოაქვს საერთაშორისო ურთიერთობის რამოდენიმე ახალი პოსტულატი. თუ თვალს გადავაკვლებთ და გავაანალიზებთ ამერიკის ორ ყველაზე პოპულარულ გამოცემას „Americal Political Jince, Review” და „Perspectives on Politics”, ვნახავთ, რომ აშშ ახალი ადმინისტრაციის მართველობის ამ ორი წლის მანძილზე აქცენტი აღებულა იმაზე, რომ აუცილებელია „მკაცრი ძალის“ („Hard Policy“) პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელება იმ მიმართებით, რომ დიალოგი და თანამშრომლობა გახდეს მსოფლიო პოლიტიკის მთავარის ტრატეგია.

ასე, რომ დემოკრატიების მთავარი წინასაარჩევნო ლოზუნგი „ცვლილებები“ („Changes“) მარტო საშინაო პოლიტიკაზე არ იყო გათვლილი. თვით ძველი თაობის ისეთი რადიკალი პოლიტიკოსი როგორც ზბიგნევ ბუჟინსკია, რომელიც დღეს პრეზიდენტის აპარატში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მრჩევლად ითვლება, სწორედ ასეთი ცვლილებების პოზიციებზე დგას. როგორც ამბობენ, დრონი იცვლებიან და დღევანდელ მსოფლიოში დიალოგს, კომპრომისებს და თანამშრომლობას ალტერნატივა არა აქვს. „რბილი ძალის“ თეორიის ერთ-ერთი არსებითი და სახელმძღვანელო პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ „ცივი ომის“ პერიოდთან მემკვიდრეობით მიღებული კონფლიქტების გადაჭრისათვის აუცილებელია „მუდმივი დიალოგის“ რეჟიმის შექმნა კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის.

მუდმივი დიალოგი იმიტომ არის საჭირო და აუცილებელი, რომ ეს საფრთხე გაუვნებელყოფილი იქნას. იგი თვითივე დიდი სახელმწიფოს მოვალეობა და პოლიტიკური პასუხისმგებლობაა.

„რბილი ძალის“ თეორიის ერთ-ერთი მნიშვნე-

ლოვანი პრინციპია ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის გაფართოება და ე.წ. „ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური ბაზრის შექმნა“. თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგები დ.პეპერი, რ.ვეი, მ.პირსონი, ფ.ბენსოფი, კ.ვეინლენტი, ლ.ბერკლი, რ.კარლშტეინი, ნ.ფრიგერი და სხვები ერთხმად აღნიშნავენ ამ ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობას XXI საუკუნის ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებისთვის. ეკონომიკური სტაბილურობის გარეშე არ არსებობს პოლიტიკური სტაბილურობა და „რბილი ძალის“ თეორიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ „მკაცრი ძალისაგან“ განსხვავებით მას პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტები უხეში სამხედრო ძალიდან ეკონომიკურ ფაქტორებზე გადააქვს. ყურადღებას იმსახურებს აშშ კონგრესის ცნობილი კანონი „აბრეშუმის გზის სტრატეგია“, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება საქართველოს მომავალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას. ამიტომ ჩვენ ამ კანონზე ვრცლად შევჩერდებით.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში, ანალიზებდა რა ამერიკის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, ილია ჭავჭავაძე წერდა: „რაც დრო გადის ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება. ამ მხრივ ამერიკა სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს... აქ პოლიტიკა ესწრაფვის ყოველივე უფოთი და უსიამოვნება მორიგებით და მშვიდობიანად გაათავონ... ეს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობას ამერიკას დაუშკვიდრებს“.

ეს თეზისიც „რბილი ძალის“ თეორიის ერთერთი წინამორბედი იდეაა და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ

ილიას „საერთო ნიადაგის“ ბევრი იდეა და პრინციპი საოცრად ემთხვევა და ეხმიანება თანამედროვეობის ამ პოლიტიკურ თეორიას.

VII თავში „საერთო ნიადაგის თეორია და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა“, შეჯამებულია სოლომონ დოდაშვილის და 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური პროგრამისა და მემკვიდრეობის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის. უმთავრესი ეს არის „საერთო ნიადაგის“ თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სოლომონ დოდაშვილმა და საბოლოო სახე მისცა ილია ჭავჭავაძემ. ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა ამ თეორიის ძირითადი არსი და პრინციპები.

მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან განსაზღვრა მომავალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ორი მაგისტრალური მიმართულება:

I. ეროვნული სახელმწიფო არ შეიძლება მკვიდრ ნიადაგზე დადგეს, თუ იგი თავის ისტორიულ გამოცდილებას და ეროვნულ მემკვიდრეობას არ ეფუძნება. სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის დროს და დღევანდელ მსოფლიოშიც კაპიტალიზმი ყველგან ვითარდება თავისი პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებით, მაგრამ ეს ყველაფერი ყველგან თავის სპეციფიკურ ეროვნულ ნიშნებს იღებს. სხვა არის მაგალითად, კაპიტალიზმი იაპონიაში და სხვა ინგლისში, ან შვეციაში. ყველგან ეროვნული ხასიათი, ისტორია, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები თავის განუმეორებელ კვალს ამჩნევს მოცემული ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას.

II. სოლომონ დოდაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აგრეთვე „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა

ცნობილმა მიმდევრებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ მარტო ეროვნულ მემკვიდრეობასა და ისტორიულ გამოცდილებაზე ვერ აშენდება ქართული სახელმწიფო. ამისათვის საჭიროა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და მისი მისადაგება მოცემული ეპოქის მოთხოვნილებებისადმი. ამის გარეშე დღევანდელ გარდამავალ პერიოდში მიმდინარე ახალი ქართული სახელმწიფოების მშენებლობა წარმატებით ვერ განხორციელდება. მაგალითი მოგვცა ისრაელმა, რითაც შესაძლებელი გახდა ძლიერი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა პალესტინაში. ჩვენ შევეცადეთ დისერტაციის ბოლო თავებში გადმოგვეცა ეროვნული მემკვიდრეობის და საერთაშორისო გამოცდილების სინთეზის პოლიტოლოგიური გააზრება.

პოლიტოლოგიური გააზრება ემყარება თვითონ სოლომონ დოდაშვილის იმ პოლიტიკურ კრედოს, რომ ევროპული გამოცდილების გარეშე მომავალი ქართული სახელმწიფო წარმოუდგენელია.

ის, რისთვისაც იბრძოდნენ სოლომონ დოდაშვილი და 1830-1832 წლების შეთქმულების სხვა ლიდერები ოქროპირ ბატონიშვილი, თამარ და თეკლე ბაგრატიონები, ალექსანდრე, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, ფილადელფოს კიკნაძე, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვები, XX საუკუნის ბოლოს როგორც იქნა რეალობად იქცა:

ქართული სახელმწიფო 200 წლის წყვეტილობის შემდეგ, XXI საუკუნის I ნახევარში საბოლოოდ ჩამოყალიბებულ და დასრულებულ სახეს მიიღებს. თუ თვალს გადავაგვლებთ მსოფლიო ისტორიას სახელმწიფოს სრული სახით ჩამოყალიბება ყოველთვის გაჭიანურებული პროცესით ხდება. ასე

იყო მაგალითად, საფრანგეთში 1789-93 წლების დიდი რევოლუციის შემდეგ, ასევე აშშ-ში ინგლისთან ომის და შემდეგ კი, 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ, იტალია და ესპანეთი ლამის მთელი ნახევარი საუკუნე... საქართველოს და ქართველ ერსაც სახელმწიფოებრივი მშენებლობის განვლილი ორი ათეული წლის შემდეგ კიდევ მრავალი წელი დასჭირდება ახალი და ძლიერი, სტაბილური და მუდმივგანვითარებადი ქართული სახელმწიფოსთვის საბოლოო სახის მისაცემად. „გარდამავალი პერიოდის“ ხომ იმიტომ ჰქვია, რომ ამ ისტორიულ პერიოდში ხდება ერთი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური თვისობრიობიდან მეორეში გადასვლა...

ქართული პოლიტოლოგიის ამოცანაც სწორედ ის არის, რომ ანალიზი გაუკეთოს წარსულის გამოცდილებას, გამოძებნოს და გამოიკვლიოს წინა თაობების მიერ ნაფიქრი, ნაღვაწი და თავისი წვლილი შეიტანოს გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

თუ გადავხედავთ მსოფლიო პრაქტიკას, დღეს გამოყენებითი პოლიტოლოგია პოლიტიკურ მეცნიერებათა განვითარების სულ უფრო წამყვანი მიმართულება ხდება. სახელმწიფო მართვა-გამგეობის სრულყოფა-განვითარება სხვანაირად შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში პოლიტოლოგიური ცენტრების მეცნიერული კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულებანი ორგანულად არის ჩართული მოცემული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალური გზებისა და საშუალებების დადგენა-პროგნოზირებასა და მათ შემდგომ რეალიზაციაში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული გარდამავალი

პერიოდის ქართული სახელმწიფოს კონცეფტუალური ხედვა, რა თქმა უნდა, არ ატარებს სრულყოფილების რაიმე პრეტენზიას. ნებისმიერ იდეას და კონცეფციას სრულყოფს მხოლოდ ცხოვრება. თეორიისა და პრაქტიკის ორგანული მთლიანობის არსიც მხოლოდ ამაში მდგომარეობს. თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია და ამიტომაცაა პრაქტიკა ყველგან და ყველაფერში ჭეშმარიტების უნივერსალური კრიტერიუმი. მთავარია, რომ მოცემული იდეა და კონცეფცია ატარებდეს ჯანსაღ და რეალურ ხასიათს.

**დასკვნაში** ჩამოყალიბებულია დისერტაციის კვლევის ძირითადი პრობლემები და მისი კავშირი თანამედროვეობასთან.

- სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრეობის საერთოდ, და კერძოდ კი, მისი პოლიტიკური შეხედულებების კვლევა იგნორირებული იყო არა მარტო ცარიზმის რუსეთის პირობებში სრულიად გასაგები მიზეზების გამო, არამედ თვით საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საბჭოთა იმპერიული აზროვნება პრინციპულად არაფრით განსხვავდებოდა ძველი მეფისდროინდელი რუსული იმპერიული აზროვნებისაგან. მისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა რუსული კოლონიური პოლიტიკისა და დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი.

- მაგრამ მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრეობის კვლევა თანდათანობით ინტენსიურ სახეს იღებს. ეს განსაკუთრებით მის ფილოსოფიურ მემკვიდრეობას ეხება, მაგრამ შეთქმულების და

თვითონ მისი პოლიტიკური შეხედულებები კვლავ კვლევის მიღმა რჩებოდა. ეს ხდებოდა ისეთ პირობებში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის სათავეებთან სოლომონ დოდაშვილი იდგა თავის დამამთავრებელ ფაზაში შედიოდა. ამიტომ თეორიულთან და შემეცნებითთან ერთად, სოლომონ დოდაშვილისა და 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური პროგრამისა და შეხედულებების მეცნიერულ კვლევას გარკვეული დანიშნულებაც აქვს. ეს საშუალებას გვაძლევს მათი პოლიტიკური იდეები და თეორიული მემკვიდრეობა გამოყენებითი პოლიტოლოგიის ჭრილში განვიხილოთ. ეს განსაკუთრებით ითქმის “საერთო ნიადაგის” თეორიაზე, მის სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპებზე.

• თუ დისერტაციის პირველ თავებში გადმოცემულია სოლომონ დოდაშვილისა და შეთქმულების შესახებ კონკრეტული ისტორიული მასალები, მის ბოლო თავებში ნაჩვენებია ამ მემკვიდრეობის მნიშვნელობა გამოყენებითი პოლიტოლოგიის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე უსვავდა ხაზს, რომ წინა თაობების მემკვიდრეობის კვლევის გარეშე აწმყოს და მომავალს მკვიდრ ნიადაგზე ვერ დავაყენებთ. “შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს თავისი უღელის წევა”, აღნიშნავდა იგი და ამიტომაც იყო რომ იგი თავს “ოცდაათიანელთა” მემკვიდრედ მიიჩნევდა. მთელი სადისერტაციო ნაშრომის მთავარი დასკვნა ის არის, რომ აუცილებელია ამ “მემკვიდრეობითი ხაზის” გაგრძელება. იგი აზროვნების უნიერსალური კანონია. ამიტომ ახალი საქართველოს და ახალი

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში მისი გათვალისწინება აუცილებელია.

• ამიტომ სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებების კვლევა და კვლევის შედეგების დაკავშირება თანამედროვეობასთან ნაშრომის შესრულების მთავარი მიზანია. ნაშრომის შვიდივე თავი შესრულებულია კვლევის ისტორიზმის იმ მეთოდოლოგიით, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვეული იქნას კავშირი წარსულისა აწმყოსთან და მომავალთან. ილია ჭავჭავაძე მას “ისტორიის ფილოსოფიას” უწოდებდა, ანუ, იმის გარკვევას, თუ “რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ”. ივანე ჯავახიშვილიც თხოულობდა ასეთი გააზრებით ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების კვლევას, რასაც მან 1938 წელს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა—“ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია”, სადაც მისი მემკვიდრეობა და განსაკუთრებით, “საერთო ნიადაგის” თეორია “საქართველოს მომავლის გზისმკვალავად” გამოაცხადა.

• “საერთო ნიადაგის” თეორიის ძალა და მნიშვნელობა დღევანდელი საქართველოს პირობებში იმითაც განისაზღვრება, რომ იგი ეხმიანება თანამედროვეობის არაერთ პოლიტიკურ თეორიას და იდეოლოგიას კონვერგენციის იდეიდან დაწყებული და “რბილი ძალის” თეორიით დამთავრებული. ამ უკანასკნელთან კავშირი უფრო მეთოდოლოგიურ ხასიათს ატარებს. თავის დროზე ილია მიხვდა, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში “ჰკა მაგას” პოლიტიკა დიდ რისკებს შეიცავდა ერის სამომავლო ბედისათვის და ოცდაათიანელთა რადიკალიზმი შეცვალა მშვიდობიანი, იგივე, “რბილი ძალის” პოლიტიკით. აქცენტი გადატანილი იქნა

თანამშრომლობაზე, რათა საქართველოს საშუალება ჰქონოდა განეხილავინ კულტურა, განათლება, მეცნიერება. თანამედროვე პოლიტოლოგთა “რბილი ძალის” თეორიაც საერთაშორისო არენაზე, კერძოდ კი, რუსეთთან ე.წ. “გადატვირთვის პოლიტიკით” ახალი დამანგრეველი ომისა და რეგიონალური თუ გლობალური კონფლიქტების თავიდან აცილების, მათი მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკურ სტრატეგიაზეა დაფუძნებული. მართალია ეპოქები იცვლებიან, მაგრამ პრობლემები და მათი გადაჭრისათვის მიმართული გარკვეული იდეები და თეორიები მხოლოდ ფორმას იცვლიან. XIX-XX საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარება ნათელი დადასტურებაა. ბევრი ჩვენი მაშინდელი მოღვაწე და მოაზროვნე ამ მხრივაც არის ჩვენთვის საინტერესო, რომ მათი მემკვიდრეობა ეხმიანება როგორც თავიანთი ეპოქების მოწინავე პოლიტიკურ თეორიებსა და იდეოლოგიებს, ისე დღევანდელი მსოფლიო განვითარების აქტუალურ პრობლემებს.

## დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა

1. “სოლომონ დოდაშვილი ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში”, თელავი, 1999 წელი.
2. “სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი”, თელავი, 2000 წელი.
